

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის 2016 წლის 14 სექტემბრის სხდომის

ოქმი №19

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი,
დავით პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1 - „აწარმოე საქართველო“-ს ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტის
ბალანსზე არსებული სოფელ ქსოვრისში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 72.01.08.050)
სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

კითხი 2 - „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების კორექტირების საკითხზე
მოსაზრების წარდგენის თაობაზე“

მოისმინეს საკითხი 1: „აწარმოე საქართველო“-ს ფარგლებში მცხეთის
მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სოფელ ქსოვრისში მდებარე უძრავი ქონების
(ს/კ 72.01.08.050) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემასთან
დაკავშირებით.

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
შემოსულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 6/45257 31.08.2016,
ასევე დუშეთის, თიანეთის მცხეთის ყაზბეგისა და ქალაქ მცხეთის
მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორის ადმინისტრაციიდან
შემოსული მომართვა, რომლებიც შეეხება შპს „FLORENS“-ის 13 ივლისის №55659
განცხადებით დაფიქსირებულ საინვენტარიზაციო წინადადებას. აღნიშნულ საკითხთან
დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წერილით (№15, 05.09.2016წ.)
მიმართა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა მათი მოსაზრება
განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან
შემოსულია წერილი (№07/2/17 07.09.2016) სადაც აღნიშნულია, რომ შპს
„FLORENS“ წარმომადგენელი ითხოვს, „აწარმოე საქართველო“-ს
პროგრამის ფარგლებში

(მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე).

უძრავი ქონება მდებარეობს სოფელ ქსოვრისში, (საკადასტრო კოდია 72.01.08.050), წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას და მასზედ განთავსებულია საბჭოთა პერიოდის დაუმთავრებელი ფერმის კარკასული ტიპის შენობა. ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიისაა და საერთო ფართი არის 2 ჰექტარი.

როგორც, დანართის სახით, წარმოდგენილი ინვესტორისათვის განკუთვნილი სპეციალური განცხადების ფორმიდან ირკვევა, შპს. „FLORENS“-ის წარმომადგენელი ბატონი ტარიელ შაბურიშვილი, იღებს ვალდებულებას, რომ გააკეთებს სანაშენე დანიშნულებისა და მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკებს. შემდგომ ხორცპროდუქტების საწარმოს, რომელიც გამოუშვებს ნახევარფაბრიკატებს: სოსის, ძეხვეულს, პაშტეტსა და ლორს. ინვესტორი იღებს ვალდებულებას, რომ პირველ ეტაპზე დაასაქმებს 50-მდე ადამიანს, ხოლო ფაბრიკისა და საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, დასაქმებულთა რაოდენობა 150-ს მიაღწევს.

როგორც მომართვიდან ირკვევა, მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზებისა და იჯარით განკარგვის მიზანშეწონილობის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზე უნდა გადაწყდეს დადებითად, რისთვისაც საჭიროა, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე განიხილოს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე სოფელ ქსოვრისში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.01.08.050) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, აღნიშნული პროექტის მხარდაჭერის მიზნით. თავის მხრივ, საინვესტიციო პროექტის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მცხეთის მუნიციპალიტეტმა დაიტოვოს უფლება ქონების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ იმსჯელა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სოფელ ქსოვრისში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.01.08.050) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი გადაწყდეს დადებითად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ინვესტორს შორის, მთლიანი საინვესტიციო პროექტის ფარგლებში (სოფელ მუხრანში და სოფელ ქსოვრისში) განხორციელდება საბოლოო შეთანხმება გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის „აწარმოე საქართველო“-ს ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სოფელ ქსოვრისში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 72.01.08.050) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ

მოისმინეს საკითხი 2: „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების კორექტირების საკითხზე მოსაზრების წარდგენის თაობაზე“

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსულია №203 05.09.2016წ. სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით ითხოვენ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან რეაგირებას.


როგორც, დანართის სახით, წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთობლივი განცხადებით მიმართა სოფელ მუხათგვერდის მოსახლეობამ და მოითხოვა სოფ. მუხათგვერდის დაბრუნება ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 11-ე მუხლისა და 24-ე მუხლის I პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების კორექტირების“ შესახებ საკითხი საკრებულოს მოსაზრების წადგენის მიზნით განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

 თ. მოძღვრიშვილი

კომისიის წევრები

 დ. ვალიშვილი

 დ. პაპიაშვილი

 გ. ლაბაური

 თ. ლელუაშვილი